პასუხისმგებლობა და ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა

- **შპს „საქართველოს ფოსტა“ მატერიალურ პასუხისმგებლობას იღებს იმ ზიანზე, რომელიც წარმოიშვება მისი ბრალით სახმელეთო ამანათის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში.** ამასთან, სახმელეთო ამანათი დაზიანებულად მიიჩნევა მხოლოდ მისი გარე შეფუთვის მთლიანობის დარღვევის შემთხვევაში.
- **გზავნილი ითვლება დაკარგულად,** თუ აღნიშნული ფაქტი დადასტურებულია შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტის მიერ ან თუ სახმელეთო ამანათის შესახებ ინფორმაციის მოპოვება ვერ მოხერხდა მისი გაგზავნიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
- **შპს „საქართველოს ფოსტა“ არ აგებს პასუხს** არც ერთი ქვეყნის (საქართველოს, ტრანზიტული და დანიშნულების ქვეყნების) საბაჟო ორგანოს მიერ საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული გზავნილების მიმართ მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე.
- **შპს „საქართველოს ფოსტის“ პასუხისმგებლობა ასევე გამოირიცხება:**
  - დაუძლეველი ძალით გამოწვეული გარემოებების დადგომის შემთხვევაში;
  - შემთხვევებში, როცა შპს „საქართველოს ფოსტას“ არ შეუძლია განახორციელოს გზავნილების აღრიცხვა, სამსახურეობრივი დოკუმენტების დაუძლეველი ძალის შედეგად განადგურების გამო;
  - თუ გზავნილის დაკარგვა, მისი შიგთავსის არარსებობა ან დაზიანება გამოწვეულია გამგზავნის ბრალით ან დაუდევრობით (მათ შორის, არასათანადო შეფუთვით) ან შიგთავსის თვისებებით;
  - იმ სახმელეთო ამანათების მიმართ, რომელიც შეიცავს გასაგზავნად აკრძალულ საგნებს;
  - იმ სახმელეთო ამანათების მიმართ, რომლის გაგზავნაც დაშვებულია მხოლოდ განსაკუთრებული პირობით ასეთი პირობის დაუცველობის შემთხვევაში;
  - მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, სახელმწიფო ორგანოების მიერ სახმელეთო ამანათის დაკავების, განადგურების ან მისი კონფისკაციის შემთხვევაში;
  - თუ ანაზღაურების მიღების მიზნით გამგზავნი არაკეთილსინდისიერად მოქმედებს;
  - თუ მომხმარებელმა რეკლამაციით არ მიმართა შპს „საქართველოს ფოსტას“ სახმელეთო ამანათის გაგზავნის დღის მომდევნო დღიდან 2 (ორი) თვის განმავლობაში;

- **გზავნილის დაკარგვის, ან შიგთავსის ნაწილობრივი დაკარგვის, ან მისი დაზიანების შემთხვევაში, შპს „საქართველოს ფოსტა“ გამგზავნს უნაზღაურებს ზიანს შემდეგი ოდენობით:**

- სახმელეთო ამანათის დაკარგვით, მისი შიგთავსის მთლიანი დაზიანების ან ქურდობის შემთხვევაში - 20 ლარს + 5 ლარი ყოველ კილოგრამზე, მაგრამ საერთო ჯამში არა უმეტეს მაქსიმალური ზღვარის -170 ლარისა;
- სახმელეთო ამანათის შიგთავსის ნაწილობრივ დაზიანების ან/და ქურდობის შემთხვევაში - დაზიანებული ან გაქურდული ფასეულობის ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს მაქსიმალური ზღვარისა.

➢ **გამგზავნი მატერიალურად პასუხისმგებელია იმ ზარალზე, რომელიც მიადგება შპს „საქართველოს ფოსტას“ აკრძალული ნივთის გაგზავნის ან სახმელეთო ამანათის არასათანადოდ შეფუთვის გამო.**

➢ **ქვეყნის დატოვებამდე ამანათში აკრძალული ნივთის ან მისი არასათანადო შეფუთვის აღმოჩენის შემთხვევაში,** ამანათი არ იგზავნება, ხოლო გამგზავნი იხდის პირგასამტეხლოს - სახმელეთო ამანათის გაგზავნის ღირებულების 100%-ის ოდენობით. პირგასამტეხლოს გადახდამდე, გამგზავნს გზავნილი უკან არ უბრუნდება.

➢ რეკლამაციის განხილვა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ ხორციელდება „მომხმარებლის სახელმძღვანელოს“ IX კარის 65-ე მუხლის ნორმებისა და „რეკლამაციის წარდგენისა და განხილვის“ წესის შესაბამისად.